ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ცის ნამი

თფილისი 1907 წელი

ორშაბათი 24 დეკემბერი

Библиотека ... при ЦК ...

№ 10. ყოველ-კვირაული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 10.

1907 წლის 24 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის, ორშაბათობით, ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

## „ც ი ს ნ ა მ ი“

ხელის მოწერა ჯერჯერობით მიიღება მარტო თფილ. მცხოვრებლებიდან.

გაზეთი ღირება: წლიურათ თფილისში 1 მ., 60 კაპ., ნახევარი წლით 1 მანეთი და ერთი თვით 15 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპეიკი.**

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები და განცხადებები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ცალ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისათვის საჭიროა საფოსტო მარკების გამოგზავნა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რედაქციასთან პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 საათიდან 12 საათამდე.

რედაქცია დროებით მოთავსეაულია: ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.

რედაქცია თხოვს ყველა პატივცემულ პირებს როგორც, რომ კორესპოდენტებს, ისე კიდევ სხვებს, რომ ყველაფერი საჭირო ცნობანი გამოგზავნონ შემდეგ ადრესზე: **Тифлисъ, редакція „ЦИСЪ НАМИ“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1., Герману Елизбаровичу Хурцидзе.**

---

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ცისარტყელა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 16 ოქტომბრიდან.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. ყოველგვარ ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილით 11-დან 12 საათამდე.

**რედაქციის ადრესი:** Тифлисъ, типографія „НАДЕЖДА“.

---

## ქუთაისში

წიგნის მაღაზია **„იმერეთ“-ში** (წინანდელი „კოლხიდა“)

**იყიდება** ახალი ქართული **კალენდრები:**

ამხ. „შრომისა“—35 კაპ., „დროების კალენდარი“—35 კაპ., ამხ. „სორაპნისა“—20 კ., კ. თავართქილაძისა—40 კ. (ორნაირია) და რუსული კალენდრები. აქვე იყიდება ყოველნაირი ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და რუსული ახალი გამოცემანი. მაღაზიაში არის უმთავრესი საწყობი ახლათ გამოცემულ მ. კელენჯერიძის სახელმძღვანელოების: „ქრისტომატია“—85 კაპ., „თეორია სიტყვიერებისა“, „ქართველი მწერლები“ ივ. გომელაურისა—70 კაპ., „ჩვენი მწერლები“ ს. გორგაძისა—50 კაპ., „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“—50 კაპ., ახლათ გამოცემული მისი დიდი სურათი—40 კაპ. და სხვ. „იმერეთ“-ში მსურველებს შეუძლიათ დაიკვეთონ ხსენებულ მაღაზიიდან.

---

გამოვიდა და იყიდება შემდეგი 1908 წლის.

## დროების კალენდარი

ფასი 35 კაპ.

**იყიდება.** შემდეგ ადგილებში: თბილისში „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებაში“ „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან („იმერეთის“ ამხანაგობაში), ფოთში და სამტრედიაში ძმ. კოხრეიძეებთან, სოხუმში ივ. თურქიასთან (წიგ. მაღაზია „მეგობარი“), ჭიათურაში სოფრომ ტარიელაშვილთან ჭიათურის ბანკში) ყვირილაში პლ. ლეჟავასთან (წიგ. მაღაზია „ივერია“), ბათუმში ბ. კილაძის სტამბაში.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 50 ცალისა, იმას დაეთმობა 20 პროცენტის დაკლებით.

პარტიობით დაკვეთა შეიძლება: თფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, სტამბა „იდეალი“, სტეფანე ბაშინჯაღიანთან. (3—1)

---

თფილისი 24 დეკემბერი.

ხვალინდელ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ქრისტეს დაბადებას. დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი ამ დღეს რაღაც გამოურკვეველი სიხარულით და აღტაცებით ეგებება. ყველანი სამზადისში არიან და ცდილობენ, რომ ქრისტეს შობას პირნათელი მხიარულობით შეხვდენ; ყველას უნდა, რომ ამ დღეს არა ჩვეულებრივი და დიდებული სადღესასწაულო ელფერი მიეცეს.

ხვალინდელ დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ ქრისტეს დაბადებას, რომლის დიდებული სწავლა, მოძღვრება თითქმის მთელ დედამიწის ზურგს მოეფინა; მისმა სიყვარულით აღსავსე მოძღვრებამ ბრწყინვალე ანდამატივით მძლავრად მიიზიდა თავისაკენ წყვდიადით გარემოცული ტვირთმძიმე, მაშვრალი და დაჩაგრული კაცობრიობა.

ქრისტე სულით და ხორცით დაბეჩავებული მშრომელი ხალხის შვილი იყო; ის თავის უკვდავი მოძღვრებით გალატაკებულ კაცობრიობას ემსახურებოდა. ის იყო ძმობა ერთობის, თანასწორობის და სიყვარულის მქადაგებელი. ქრისტე იყო პირველი და დიდებული სოციალისტი; თანამედროვე სოციალისტებისაგან ის მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მათხოვრულ სოციალიზმს ქადაგობდა. ის ნათლად ხედავდა ორ უთანასწორო ბანაკს: მდიდართა და მჩაგვრელთა მცირე ბანაკს და ღარიბ-ღატაკთა და ჩაგრულთა უზარმაზარ ბანაკს. თვალცრემლიანი და კაცთ-მოყვარე ქრისტე იდგა ამ ორ მოწინააღმდეგე და მებრძოლ ბანაკ შორის და თავის სათნოიანის სახით ლმობიერებით და მოწიწებით შესთხოვდა მშივრების ოფლით მაძღრებს, ღატაკების უბედურობით გაბედნიერებულებს, რომ მათ შეეყვარებინათ მოყვასი თვისი, რომ მათ გაეკითხნათ გლახაკნი და დავრდომილნი...

აი ამ მათხოვრული სწავლა მოძღვრებისათვის იმ დროს ფარისეველმა სამღვდელოებამ და მდიდრობამ სასტიკათ დაუწყეს ქრისტეს დევნა, მაგრამ ამ დევნამ მას ათასობით მიმდევრები აღმოუჩინა. მათხოვარი ქრისტე როგორც ავაზაკი, ჯვარზე გააკრეს; ფარისევლებს ამით უნდოდათ ქრისტეს სწავლა მოძღვრების ძირფესვიანად ამოფხვრა, მისი მოსპობა, მაგრამ პირიქით, სწორედ მისმა ასეთმა წამებამ, ქვეყნის თვალში, ის უფრო აამაღლა და გააცისკროვანა. წამებულმა ქრისტემ ათასობით წამებულები დაბადა; მისი მოძღვრების სასტიკმა დევნამ ის უფრო გაალვია, გააძლიერა, რომელმაც პოლესტინის საზღვრები გადალახა და ირგვლივ მთელ ქვეყნიერობას მოედო. ბნელმა და ველურმა ძალებმა დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ველარ გაუძლეს ადამიანურის სიყვარულით გასხივოსნებულ ქრისტეს მოძღვრებას, ველარ გაუძლეს ქრისტეს სარწმუნოებით აზვირთებულ ხალხის ზღვას და წამებული ქრისტეს ძლევა-მოსილი აჩრდილის წინაშე ქედი მოიხარეს.

ქრისტიანობის პირველ გამავრცელებელ და წამებულებიდან ერთად უნებლიეთ მაგონდება ახლანდელ წამებულთა დიდი ლაშქარი, რომელიც უსამართლო ხეპრულ ძალასთან უსწორო ბრძოლაში ჩაიხოცა; აშკარა მგზავსება მაშინდელ და ახლანდელ გარდამავალ ხანას შორის სხვა მხრივაც ბევრათ დიდია, თუმცა არა ნაკლებ დიდია მათ შორის განსხვავებაც.

დროთა განმავლობაში ბაბატონებულმა სამღვდელოებამ ქრისტეს მოძღვრება გადაასხვაფერა, გადაამახინჯა და ის გაბატონებულ მდიდარ კლასებთან ერთად იარაღად გადააქცია იმ დაბეჩავებული ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც ის პირველად ემსახურებოდა. მგლები ბატკნის ტყავებში გაეხვივნენ და ქვეყანას ამ სახით მოევლინენ, რომ უფრო უკეთესად და შეუმჩნევლათ გამოეხრათ გაძვალტყავებული ხალხი. ფარისეველმა სამღვდელოებამ ქრისტეს წმიდა მოძღვრება შეიბრალა და მხოლოდ თავის სასარგებლოთ გამოიყენა.

ქრისტეს სახელით ატყავებენ ხალხს; ქრისტეს სახელით ბუზებივითა ხოცავენ; ქრისტეს სახელით აჰყავთ სახრჩობელაზე; ქრისტეს სახელით ხიშტებზე აგებენ ძუძუმწოვარა ბავშვებს; შთამომავლობით ურია ქრისტეს სახელით არბევენ, აწიოკებენ და შეუბრალებლად ჟლეტავენ ურიებს და სხვა...

ყველა ამით ცდილობენ გამოღვიძებული ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობის ჩაქრობას, მის ძირ-ფესვიანად ამოფხვრას, მაგრამ ამაოდ; ის პირიქით ქრისტეს წმიდა მოძღვრებასავით უფრო იზრდება, უფრო ღრმავდება და ფართოვდება. ძირს, ცხოვრების ჯურღმულებში გაწამებული ხალხის ბოღმა გუბდება, რომელიც დღეს თუ არა ხვალ უფრო მძლავრად ამოხეთქავს და თავის ძლევა-მოსილის ტალღების წინაშე ხალხის სულთა-მხუთავებს ძალაუნებურად ერთხელ და სამუდამოდ ქედს მოახრევინებს...

---

### „სტიპენდიების საქმე“-ს გამო

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობის, თუ მეტი არა, სამი მეოთხედი მაინც ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. ქართველ სტუდენტობის ნახევარზე მეტი უსახსრობის გამო იძულებული ხდება ყოველ წლივ დროზე უფრო ადრე მიანებოს თავი ლექციების მოსმენას და სახლში დაბრუნდეს, რომ შიმშილმა უდროოთ ბოლო არ მოუღოს. ასეთ პირობებში რაფრივ უნდა აღიჭურვოს ქართველმა სტუდენტმა ყოველ მხრივი ცოდნით, როგორ უნდა შეისწავლოს მან თავის საქმე ზედმიწევნით, როდესაც დროს დიდი უმეტესობა კერძო გაკვეთილებში და ამ უკანასკნელის ძებნაში მიუდის? განა შესაძლებელია კუჭცარიელ ადამიანმა რაიმე მეცნიერება შნითვისოს?

ამ კითხვებს თვით მკითხველმა გასცეს პასუხი, მე კი მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა სტიპენდიების საქმის მოწყობაზე.

ჩვენში კარგი ძალი სტიპენდიები რიგდება, მხოლოთ საქმე იმაშია, რომ ეს სტიპენდიები უთავბოლოთ არის განაწილებული. ხშირათ სტიპენდიას იღებს ისეთი სტუდენტი, რომელსაც უამისოთაც შეუძლია სწავლის გაგრძელება; სამაგიეროთ კი ისეთი სტუდენტი, რომელსაც არავითარი სახსარი არ აქვს და იძულებულია დღითი დღე შიმშილს ებრძოლოს: გაკვეთილები ეძებოს გადასაწერი იშოვოს და სხვა ამისთანები, მოკლებულნი არიან სტიპენდიებით სარგებლობას. ამნაირათ სტიპენდიებისათვის გადადებული ფული ვერ იხარჯება ნაყოფიერათ, მას ვერ მოაქვს სასურველი ნაყოფი. საჭიროა, რაც შეიძლება ადრე, სტიპენდიების განაწილების საქმე სასურველათ და ნაყოფიერათ მოეწყოს.

მაგრამ აქ იბადება საკითხი: როგორ მოიწყოს სტიპენდიების საქმე ისთე, რომ სტიპენდიით ისარგებლოს მხოლოთ უფრო ღარიბებმა?

ამ საკითხის გამო ამხ. ნარკანი „ცის ნამი“-ს მე 6-№-ში წერს: „ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ გოგებაშვილის აზრს (ისარი № 273), რომ საჭიროა შედგეს განსაკუთრებული კომისია გამგეობის გარეშე მდგომ პირთაგან, რომელიც გაანაწილებს ამ სტიპენდიებს, ხოლო ბ-ნ გოგებაშვილის აზრს დაუმატებთ იმას, რომ ამ კომისიამ გაანაწილოს არამც თუ მარტო ის სტიპენდიები, რომელიც ძმათა ზუბალაშვილებს გადაუდევიათ, არამედ სხვანიც, უკვე არსებული ბ-ნ სარაჯევისა და სხვათა... შემდეგ ქვევით ამხ. ნარკანი განაგრძობს: „ამასთანვე უკეთესი იქნებოდა, რომ უკვე მოსწავლე (საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში) ახალგაზდების შესახებ სასტიპენდიო კომისიამ იხელმძღვანელოს ხოლმე მისი ამხანაგების, სტუდენტთა მთლიან კორპორაციის აზრით, რადგანაც ისინი უკვე იცნობენ თავისი ამხანაგების ნიჭსაც, ენერგიასაც და სხვასაც, ყოველ შემთხვევაში უკეთ, ვიდრე რომელიმე კერძო პირი“.

მე სავსებით ვეთანხმები ამხ. ნარკანის წერილის იმ ადგილს, სადაც ის ლაპარაკობს, რომ თვითონ მოსწავლე ახალგაზდებმა უკეთ იციან თავისი ამხანაგების ნიჭიც, ენერგიაც (და ნივთიერი მდგომარეობაც-- დაუმატებ მე) და სხვ., მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ გოგებაშვილის მიერ წამოყენებულ კომისიას არ შეუძლია გაუწიოს დიდი წინააღმდეგობა „ნათლიმამობას“, ის თითქმის თვალსაჩინოთაც ვერ შეამცირებს ამ მეტათ არა სასიამოვნო მოვლენას. ამის მოწამეა ყველა ის კომისიები, თუ „სიეზდები“, რომლებიც დღემდე ანაწილებდენ სტიპენდიებს. კომისიაში „ნათლიმამობა“ მაინც იჩენს თავს, თუ გინდ ის, როგორც ამხ. ნარკანი ლაპარაკობს, იყოს არჩეული ამ საქმის თანამგრძნობ ფართე მასსის მიერ, და ამხანაგების აზრი კი უმეტეს ნაწილათ მხოლოთ აზრათ და სიტყვათ დარჩება და მეტათ არაფრათ.

სტიპენდიების საქმის სასურველათ მოწყობა, მათი სამართლიანათ განაწილება თვით მოსწავლე ახალგაზდობას ძალუძს და არა რომელიმე კერძო კომისიას. ყველა უნივერსიტეტებში არსებობს ქართული „ზემლიაჩესტვოები“*), საჭიროა შეატყობინონ ამ „ზემლიაჩესტვოებს“ სტიპენდიების რაოდენობა და ისინი შესძლებენ მათი სამართლიანათ განაწილებას. „ზემლიაჩესტვოებს“ უნდა გადაეცეს აგრეთვე სია იმ სტუდენტებისა, რომლებიც უკვე არიან ჩარიცხული სტიპენდიებათ, და თუ აღმოჩნდა, რომ რომელიმე მათ შორის უსამართლოთ იღებს სტიპენდიას. „ზემლიაჩესტვომ“ მოუსპოს მას და გადასცეს უფრო ღარიბს.

საშუალო სასწავლებლებშიც ასევე უნდა მოეწყოს. იმათმა კი, რომლებიც იღებენ თავიანთ წილიდოს სტიპენდიებისათვის, კერძო პირები არიან ისინი თუ რომელიმე დაწესებულება ანუ საზოგადოებაა თუ უნდათ მათ მიერ აღებული ფული უფრო ნაყოფიერათ დაიხარჯოს, უნდა გადასცენ ქ. შ. წ. კ. გ. ს., რომელიც ყოველ თვიურათ მიაწვდის იმ მოსწავლეებს, რომლებზედაც მიუთითებს „ზემლიაჩესტვოები“.

საჭიროა ამ საკითხზე „ზემლიაჩესტვოებმაც“ იქონიონ მსჯელობა და გამოსთქვან გაზეთის საშუალებით თავიანთი აზრი.

ივ. ქ—ნიძე.

*) სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები უნივერსიტეტის „ზემლიაჩესტვოებში“ შედიან წევრებათ.

## ხმა სასწავლებლიდან

ვინც უკანასკნელათ ოდნავ თვალ-ყურს ადევნებდა იმ დიდ ცვლილებას, რომელიც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთის საზოგადოებას წინ დაუყენა, ის ნათლათ დაინახავს თვით ჩვენ ცხოვრებაშიც ბევრ ისეთ კურიოზებს, რომლებიც ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. მართლაც არ გამოაღვიძა საერთო განთავისუფლებისათვის ფარ-ხმლის ჟრიამულმა? ვინ არ შეაშფოთა უკმეხათ აზვირთებულ ცხოვრების ტალღებმა? იმ ნეტარხსენებულ „ოქტომბრის“ დღეებში ყველა საზოგადოებრივ კლასმა, ჯგუფმა და წოდებამ გადაშალა თავისი მრწამსი და ოდესღაც მიდუნებულ ცხოვ. ხელი საშველათ გაუწოდა. არც ჩვენი სამღვდელოება დარჩა გულზე ხელდაკრეფილი. პირიქით ის გაცხარებული კამათი, სამღვდელოების კრებებზე ავტოკეფალიის შესახებ, რომლისთვისაც ჩვენ სამღვდელოებას კაზაკების მათრახებითაც კი გაუმასპინძლდენ, გარეშე მაყურებელთათვის რაღაც არაჩვეულებრივს მოასწავებდა. ყველას ეგონა სამღვდელოება გამოცოცხლდა, ის შესაფერ როლსაც კი ითამაშებს განმათავისუფლებელ მოძრაობაშიო. შეიძლება ვინმემ ეს აზრი დროგადასულათ აღიაროს, მაგრამ ისტორიას არა ერთი ახსოვს მაგალითი, როდესაც ღარიბი სამღვდელოება სათავეში უდგებოდა გალატაკებულ გლეხ-კაცობის მოძრაობას. ჩვენ სამღვდელოებას ასეთი მოწოდება, მხოლოდ სიზმრათ თუ წარმოუდგება; მან დაკარგა ამისათვის ყოველივე ნიადაგი, ხალხს ჰყავს თავისი მობაირახტრე, თავისი წინამძღოლები, მხოლოდ მას (სამღვდელოებას) შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებია სასულიერო უწყების სფერაში, მაგრამ ამისათვის მათ, როგორც ეტყობათ, აღარ უცემთ გული.

ჩვენ აქ არ აღვნიშნავთ ყველა იმ დარგებს, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა სამღვდელოებას ცოტა რამ ცვლილებები მოეხდინა, არამედ მივუთითებთ ისეთ მოვლენაზე, რომლისათვის მას გვერდი არ უნდა აეხვია. ჩვენ ვამბობთ სასწ. სემინარიის უნუგეშო მდგომარეობაზე. მართლაც უკანასკნელათ ამ სასწავლებელში გაძლიერებული მოძრაობა, რომელიც დროგამოშვებით გაფიცვებით თავდებოდა, უეჭველათ მიიპყრობდა ყოველი პატიოსანი მუშაკის ყურადღებას. მაგრამ ასეთების პოზიცია ამ შემთხვევაში იქნებოდა კრიტიკული, რაც შეეხება საქმეში აქტიურათ ჩარევას, ამისათვის კი უნდა გარჯილიყო ჩვენი სამღვდელოება. დრო გადიოდა და ის ხმასაც არ იღებდა... საქმეს თვით მოწაფეებმა უშველეს. ცხოვრებამ ბრძოლის ასპარეზზე თვით მოწაფეები გამოიყვანა. მოწაფეებში ეხლაც ნათელი არის წარმოდგენა „ნიკანდროვშჩინის“ იმ სასტიკი რეჟიმის, როდესაც ყოველი გაზეთის წაკითხვა, გარდა „კავკაზისა“, აღკრძალულ ხილათ იყო გამოცხადებული, იყო დრო, როდესაც ხუთი საათის შემდეგ სემინარიის კარებს კლიტეს დაადებდენ და მოწაფეებს, ვით არესტანტებს, მთელი დღის განმავლობაში უნდა ესუნთქათ პანსიონის მოწამლული ჰაერი; გვახსოვს, როდესაც სკოლაში შემოსვლისას წვრილმანებით სავსე სამოქმედო „ინსტრუქციას“ გვირიგებდენ, რომლის თითეული მუხლი სასტიკათ უნდა ყოფილიყო დაცული უმაღლეს მთავრობის განკარგულებით... ყველა ამის დროს ჩვენი სამღვდელოება სდუმდა... მოწაფეები ამხედრდენ ასეთი წესების წინააღმდეგ და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კიდევაც დაიკმაყოფილეს რამდენიმე მოთხოვნილება. ეხლა სემინარიაში ვეღარ დაინახავთ ისეთ გულის აღმაშფოთებელ სურათებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინედ ჩვეულებრივ მოვლენათ იყო აღიარებული. გარეგნულათ ცოტა თავისუფლებას ვღირსეთ, რაიც რასაკვირველია სიმბოლოა ყოველ ახალი ნაბიჯის გადადგმისა და ცხოვრების თანდათან გაუმჯობესობის. მაგრამ რაც შეეხება თვით სწავლების საქმეს ამ მხრივ კი ჩვენთვის დიდი არაფერი გაკეთებულა. როგორც ვიცით სემინარიელთა უკანასკნელ მოძრაობაშა განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მოთხოვნილებას სემინარიის მეოთხე კლასის უფლებით სხვა სასწავლებლებთან გათანასწორების შესახებ. ამისათვის კი საჭირო იყო არსებულ სამოსწავლო პროგრამის გაფართოვება და გამორიცხვა იმისაგან, შეძლებისადაგვარათ ისეთ საგნების, რომლებიც მოწაფეთათვის ზედმეტ ბარგათ გამხდარან. მართალია ამ მხრივ გადავდგით დიდი ნაბიჯი ქართულ ენის შემოღებით, მაგრამ ქართული ენა უმწეო რჩება, როდესაც საქმე უფლებას ეხება, უკანასკნელისათვის საჭირო იყო გაფართოებულიყო ფიზიკო-მატემატიკური საგნების სწავლება, რადგან სწორედ ამ საგნებში ითხოვენ ეგზამენს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელათ სემინარიის ოთხი კლასის გათავების შემდეგ, ფორმალურათ ეს აგრეც მოხდა. მაგრამ ადგილობრივ ამ საგნების სწავლება ისეთ კაცის ხელში იმყოფება, რომელსაც რომელიმე კანცელიარიის კუნჭულში უფრო უნდა ქონდეს ადგილი, ვინემ „მეცნიერების ტაძარში“. ამ პატივცემულ გვამს ჯერ არც ისე დიდი ცოდნა შესწევს და შემდეგ კი თვით თავისი წმინდა მოვალეობის ასრულება „აუცილებელ ბოროტებათ“ მიაჩნია. ყველა ამის მიხედვით მატემატიკურ საგნების სწავლება სემინარიაში ძლიერ შეფერხებულია. მოწაფეები ეძებენ მიზეზს ასეთ მოვლენისას და ყველა იმ აზრს ადგია

# ფელეტონი

## სიმღერა

—

ბურუსს მოუცავს მთელი სამყარო,
აღარსადა ჩანს მზისა სხივები:
დაბნელებულა სულ არე-მარე,
გამეფებულან შავი ღრუბლები!

—

მშრომელი ხალხი კვნესის, იტანჯვის,
არა აქვთ პური, შიათ, სწყურიათ.
მთელი სიმდიდრე მათი შექმნილი,
განცხრომის შვილებს მიუკუთვნიათ!

—

იშვიათად, ვხედთ ქვეყნათ ხალხთ შორის,
თანასწორობას, ძმობა-ერთობას,
ფესვი გაუდგამს ღრმათ სულ ყოველგან
შურსა და მტრობას, უკულმართობას!

—

ძმებო ტანჯულნო, მშრომელო ხალხო!
მგმინავ-მკვნესარო მტარვალთა ხელში,
დრო არის თავი ვახწიოთ ტანჯვას
და გავიმართოთ მოკაკულ წელში!

—

კმარა ამდენი ჩვენი წამება,
ჩაბოჰვ-ჩაღრჩობა სიბნელეშია,
ხმა ავიმაღლოთ მჩაგვრელების წინ
და გამარჯვება ძმებო ჩვენშია!

ევგ. დვალი.

## ორი სურათი

—

სიცივეა, ქარი ჰქრის,
სუსხი სწვავს არე-მარეს;
ცაც მრისხანეთ დაჰყურებს,
დედამიწას მწუხარეს.
ზღვა მრისხანებს, ტალღები
კლდეებს ეჯახებიან;
არსად სჩანან სულდგმულნი,
სუსხსა ემალებიან.
თავისუფლათ დაჰქროლავს
ქარი ტყე და ველადა;
ხამს, თუ ნახა, ეული
დაზრობ-დასაწველადა...
გაიყინა ჩაგრულის
გული, მრავალტანჯული
სჩანთქა სული წყვდიადმა,
უდროთ დაობლებული...

—

არვინ უკრთის სიცივეს,
არც სუსხს ერიდებიან
და ქარის შესამუსრათ
ძმურათ ემზადებიან.
დედამიწაც მხარს აძლევს
შვილებს დაჩაგრულებსა;
ხელს აფარებს, გულს იკრავს
და უკურნებს წყლულებსა.
წინ გადუდგა ქარიშხალს,
ცამდის ასულ მთებითა;
შეაჩერა, თუმცაღა,
ქრიდა მრისხანებითა..,
გათბა გული ჩაგრულის,
სულს მოემატა ძალა
და სიმართლემ კეთილმა,
ბოროტება დასძალა....

გ. ლადოშვილი.

## ძირითადი მიზეზები დღევანდელის ვითარებისა.

### V*)

განმათავისუფლებელ მოძრაობას მძლავრი მუჯლუგუნები წაჰკრა და მით უფრო დააჩქარა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც რუსეთის კაპიტალიზმისავე ზრდა განვითარებამ გამოიწვია. გაძვალტყავებულ გლეხებს და საზოგადოთ რუსეთის ხალხს შეძლება არა ჰქონდა თვითონვე გაესაღებინა კაპიტალისტურად ნაწარმოები საქონელი. კაპიტალისტებისაგან დამზადებული აუარებელი საქონელი შინაურ ბაზრის გადიდებას, მის გაფართოვებას მოითხოვდა; ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა მანჯურიას წაჰპოტინებოდა. მაგრამ ამავე ბაზარზე გაუმაძღარი თვალი ეჭირა იაპონიის ბურჟუაზიას, რომელიც რუსეთის მთავრობას თავის ერთგული მთავრობა შეაჯახა. დაიწყო რუსეთ-იაპონიის დიდებული ომი, რომელმაც საძირკვლიანად ძალუმად შეარყია მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივი შენობა.

ამ ხანგრძლივმა, საზარელმა ომმა, რომელმაც მთელი რუსეთის სახელმწიფოს აქამდის დაფარული ღრმა იარები სავსებით გამოაშკარავა და და გამოაქვეყნა, დიდათ შეუწყო ხელი რუსეთის ხალხის გამოღვიძებას და გათვითცნობიერებას. ბუმბერაზი ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა მანჯურიის ველზე სასტიკად დამარცხდა. ფიზიკურად დამარცხებას თან მოჰყვა მისი ზნეობრივი, ანუ მორალური დამარცხებაც. თვითმპყრობელობას შინ და გარედ აბრუ გაუტყდა; გარედ სახელი და დიდება, შინ ხალხის ნდობა დაეკარგა, რადგანაც მან ათი-ათასობით მსხვერპლი შეიწირა და ხალხის აუარებელი ქონება უსარგებლოდ დაღუპა.

ამნაირად თვითმპყრობელობამ ვერც რუსეთის ბურჟუაზიას მოუპოვა საჭირო ბაზარი და თავისი უვარგისობაც ყველასათვის ნათელჰყო. ჯერ ომი არც კი დასრულებულიყო, რომ მთელ რუსეთში დიდის ხნით შეგუბებულმა და დაკავებულმა სახალხო ბოღმამ გადმოხეთქა თვითმპყრობელობის კანონ-წესების ვიწრო კაპალიდგან; განმათავისუფლებელმა მოძრაობამ პროლეტარების მასსიური გაფიცვებით, გლეხობის აგრარული მოძრაობით, აქა-იქ ადგილობრივი არეულობით და ამბოხებით აშკარად იჩინა თავი, მაგრამ მთავრობის ერთგული პოლიციის და ჯარის შემწეობით ყველგან ადვილად ჩაქრობილ იქმნა. მანჯურიის ველზედ შერცხვენილი თვითმპყრობელობა შინ ხალხს სასტიკი ზომებით, ანუ რეპრესიებით მიუსია, მაგრამ მას მთელმა რუსეთის ხალხმა პროლეტარიატის მეთაურობით ერთსულოვანი საერთო პოლიტიკური გაფიცვით უპასუხა, თვითპყრობელობა გამარტოვდა, გაირიყა და როგორც იაპონელების წინაშე, ისე ხალხის წინაშე ქედი მოიხარა.

თვითმპყრობელობამ ერთხელ კიდევ დაინახა, რომ თუ ხალხს არ დაუთმო, მაშინ აზვირთებული მრისხანე ტალღები ხალხის მოძრაობისა მის ციხე-სიმაგრეებს დალეწენ და წალეკავენ. 1905 წ. 17 ოქტომბერს გამოიცა მანიფესტი, რომლითაც თვითპყრობელობა ისპობოდა და მის ნაცვლად კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა, ანუ მეფის მთავრობასთან ერთად ხალხის წარმომადგენლების მმართველობა მყარდებოდა.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 17 ოქტომბრის მანიფესტით მთელ რუსეთზედ გადაკრული თვითმპყრობელობის შავი რიდე ჩამოგლიჯა და მისი ნამდვილი ფეოდალური სახე და სხვა და სხვა კლასთა წინააღმდეგობა გამოააშკარავა, გამოამზევა; მან ამ კლასების ინტერესების გამომხატველი და დამცველი პარტიებიც პოლიტიკურ ასპარეზზედ თავ-თავის შესაფერ ადგილას აშკარად დარაზმა.

მთავრობის მანიფესტით დაკმაყოფილებული და პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობით შეშინებული საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია მოძრაობას ჩამოშორდა, პროლეტარიატს ზურგი აქცია, უღალატა და მთავრობას მუხლებში ჩაუვარდა. პროლეტარიატი და გლეხკაცობა და საზოგადოთ წვრილი ბურჟუაზია, ანუ ხალხის ფართე მასსა მოძრაობას განაგრძობდნენ.

ოქტომბერში თავზარდაცემული თვითმპყრობელობა მოღონიერდა, რადგანაც მისკენ გადასულმა ბურჟუაზიამ მას ზურგი გაუმაგრა და დეკემბერში გამარტოვებული პროლეტარიატი და მასთან ერთად გლეხობა, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, სასტიკად დამარცხდნენ.

კონტრ-რევოლიუციამ, ანუ მთავრობის მოსევამ, პროლეტარიატის და საზოგადოთ ხალხის აუარებელი სისხლი დაღვარა. მან ბევრი თავ=

*) იხ. გაზ. „ცის ნამი“ № 9.

რომ მასწავლებელი არის მიზეზი საგნების სწავლების აგრე უკუღმართ გზაზე დაყენების.

მიაქციეთ იმათ ყურადღებას, ვინც ქართული ენის შემოღ ბით ბრძ-ლის ფარჩხმალის დაგებას აპირებს, რომ ბრძოლა არ გათავებულა და უმთავრესი საჭიროება-უფლების მოპოება ისევ იმავე მდგომარეობაში იმყოფება. თუ ამ პატივცემულებს უნდათ მოუსმინონ იმათ ღაღადისს, ვისი საჭიროებისათვისაც უნდა იყოს მიმართული მათი მოქმედება, ისინი მათ ეტყვიან: ჩვენ გვსურს, რომ დღევანდელ სემინარიამ დაჰკარგოს თავისი კასტიური ხასიათი და უფლებებით ის გაუთანასწორდეს ,ხვა საერო სასწავლებლებს, რისთვისაც საჭირო არის მედგარი, გაბედული ხმა და არა საბრძოლველ დროშის ძირს დაშვება; და თუ თქვენ გინდათ მოსპოთ ის აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა სას. სემინარიაში, სწორედ აქეთკენ უნდა იქმნეს მთელი თქვენი უმთავრესი ყურადღება მაქცეული...

ხვარ—ელი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

✦ 20 დეკემბერს თბ. მე-8 საპ. ნაწილში, ჩუღურეთში თავს დაეცნენ ოთხი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველნი მეპურე სოსო მაგრაქველიძეს და სიკვდილის მუქარით წაართვეს ორასი მანეთი და მიიმალნენ. ამ უკანასკნელ ხანებში საზოგადოთ ძლიერ გახშირდა მეპურეებზე თავდასხმა და ფულის გატაცება, რის შესახებ მეპურეთა საბჭომ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: შეიძინონ იარაღი თავდასხმელთა საწინააღმდეგოთ.

✦ 21 დეკემბერს, საათის ორზე ორი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი, თავს დაესხა ავჭალის ქუჩაზე გზათ მიმავალ ერასტი ნიკოს ძე როფაქიძეს, რომელსაც წაართვეს 200 მანეთი და უცბათ მიიმალნენ. როგორც ამბობენ ამ დროს იქვე ახლოს მდგარან გოროდოვები მარა არაფერი ყურადღება არ მიუქცევიათ.

✦ **მადნების აღმოჩენა**. როგორც გვატყობინებენ, რაჭის მაზრაში მადნეულობის მქებნელთა ინჟინრების კომისიას ბევრი სხვა და სხვა მადნები აღმოუჩენიათ და ალაგებში მუშაობასაც დაპირებან ახლო მომავალში.

—

# პატარა ფელეტონი

—

(ბერუკა და მამუკა).

ბერუკა რაჭველი არის
მამუკა ლეჩხუმელიო,
ჭეშმარიტების მტრებისა
საჯაროთ გამროზგველიო!

(ბერუკა და მამუკა ერთი მეორეს შეხვდებიან და დაიწყებენ საუბარს ჟურნალ „ნიშადურის“ შესახებ.).

ბერუკა. სწორეთ უნდა ვსთქვა: ჟურნალ „ნიშადური, რომ არ გამოდიოდეს უკეთესი იქნება, რადგანაც ის ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს და მთელ ერს თავი ეჭრება სხვათა ერის თვალში, ვინც კი ქართულ ენაზე წერვა კითხვა იცის.

მამუკა. ხომ იცი ჩემო ბერუკა, ნათქვამია: „გლახა მეგობარი მტერზე ვარესიაო“ „ნიშადურის“ თანამშრომლებს, იქნებ გულით კი არ უნდოდეთ ქართველ ხალხის შერცხვენა და თავის მოჭრა, მარა თავისდა მიუხდომლობით და გონების განუვითარებლობის გამოთ მოსდით აბდა-უბდათ სიტყვების ჩმახვა. „ესდეკების“ ქვეყნის მტრათ აღიარება და სხვა.

ბერუკა ერთი, იმათაც ჰკითხე ჩემო მამუკა. რას გეტყვიან მაგ სიტყვებზე. ჩვენ გენიოსები ვართო, სულ იმას გაჰკივიან.

მამუკა. ჰმ... ეგ რა უყოთ აბა ვინ იტყვის მე ბრუციანი ვარო ჩვენ ხალხს უნდა უყუროთ და არა ტუტუცებს გიჟი თავისუფალია ხომ იცი ჩემო ბერუკა.

ბერუკა. ეგეც არ ითქმება ზოგჯერ თუ ტუტუცების ბროდვასაც არ მივაქციეთ ყურადღება, შესაძლებელია დიდი ზიანი მიაყენონ საზოგადოებას რადგანაც მე ეს გამოცდილებით ვიცი რის საბუთსაც ახლავე მოგიყვან ჩემო მამუკა. ხომ გახსოვს. ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დროს როგორ „შოვინისტურ“ სიტყვებს ლაპარაკობდნენ და ცხარე „აგიტაციას“ ეწეოდნენ ზოგიერთი პირები იმის შესახებ, რომ ვითომ და ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა ს. დ. მოჰკლეს ილიაო და პროვოკაცია უნდა მოეხდინათ ხალხში. აი სწორეთ იმ პირების უმრავლესობა დღეს „ნიშადურში“ არიან დაბუდებული და აბა რა გამოვა სასიკეთო იმათგან?

მამუკა. ჰო... ეგ როგორ არ მახსოვს, განა მას შემდეგ წელიწადებს კი არ გაუვლია, მარა თუ ისინი „ნიშადურში“ არიან ამ ჟამათ თანამშრომლებათ ეს კი მე არ ვიცოდი, რომელნიც ვითომ და ილიის მოკეთეები იყვნენ იმ დროზე მარა ნამდვილათ კი შეურაცხყვეს იგი. სწორეთ ამაზედაც ითქმის წალანდელი შენი ანდაზა ჩემო ბერუკა! „გლახა მეგობარი მტერზე ვარესიაო“.

ბერუკა. მაშ, რაღა უჭირს ჟურ-
ნალ „ნიშადურს“
და მის რედაქტორ არტისტ გუნიას,
„ფედერალისტთა“ თაყვანის მცე-
მელს
და „ესდეკების“ მტერს და წუნიას.
ბევრი ექნებათ აწი მასალა,
რომელიც მოსცხებს თვით იმათ
ჭუჭყსა,
და გაიძღობენ საბრალოები
მასში აღებულ ფულებით კუჭსა!...

ვილაც დვალი.

—

## ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

—

დღესასწაულია... ყველგან მხიარულება მეფობს... მეც მიუხედავად ზამთრის სუსხის თითქმის ბრჭყვიალებს ცის კამარაზედ. თითქოს ისიც თანაუგრძნობდეს ამ საერთო დღესასწაულს... ყველგან ყოველივე სადღესასწაულოდ არის მოწყობილი.. მდიდართა სადგომებიდგან მოისმის როიალის, ფორტეპიანის და ორკესტრის მშვენიერი და მომხიბლველი ხმები: სადღეგრძელოები, ტკბილი„ რეჩები“ და „შომპანურით“ სავსე ვერცხლის თასების ჭახაჭუხია...

ამას თან ერთვის გაცხარებული არშიყობა და კოცნა-ხვევნა... დიაღ, განცხრომის ძენი, განცხრომაში ატარებენ დროს და მით უმ ტეს დღეს... დღეს, როცა ჰაერიც კი გაჟღენთილია დღესასწაულის სიხარულით.

მათ არ აღარდებს არც წარსული, არც აწმყო და არც მომავალი. მათ არ აღარდებს არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიშიშვლე: მათთვის ყოველივე გამოულეველია.

მათ არ აღარდებს ხალხის... დაჩაგრულ ხალხის მძიმე უღელი, მათი ტანჯვა-კვნესა-ვაება...

მუშათა სადგომებშიაც გაისმის სიხარულის ხმა, თითქოს ერთი-წუთით დაუვიწყნიათ ყოველივე გაჭირვება, უბედურება, შრომის აუტანელი პირობები და ტანჯვა-ვაება. ისინიც მისცემოდა ერთდროული სიამოვნებას; აქ არ ისმის ვერცხლის და ოქროს თასებში „შომპანური“, რომი, ლიკვერი, კონიაკი და სხვა ძვირფასი სასმელები: აქ არ ისმის როიალის იდეალური ხმა... არც ორკესტრი... არც ფორტეპიანო. გაისმის მხოლოდ ტკბილი მუშური სიმღერა... სიმღერა რომელშიაც გატარებულია მათი გაჭირვება და უმწეო მდგომარეობა... საერთო დღესასწაულს ესენიც უერთდებიან... მაგრამ ამავე დროს დარდობენ წარსულზედ, რომელიც სიბნელით და შავი ბურუსითაა მოცული; სადაც მონობა, ტანჯვა-წვალება უმაღლეს წერტილამდე იყო მისული; დარდობენ აწმყოზედ, სადაც ჯერ კიდევ არ გამქრალა სიბნელე; ფიქრობენ მომავალზედ, თუ როგორ მოუმზადონ მას ნიადაგი... ფიქრობენ იმ მომავალზედ რომელიც ოქროს ასოებითაა აღბეჭდილი მათ დროშაზედ, რომლისთვისაც ათასობით მსხვერპლი შეწირულა სამსხვერპლოზედ; ფიქრობენ იმ ლიდებულ მომავალზედ, რომელიც ცისკრისებრ გაანათებს ბნელ მიდამოს; რომელიც ცხოველ-მყოფელი მზესავით, გამოჩნდება რა ჰორიზონტზედ, სიცოცხლეს მოჰფენს მიძინებულ-მიდუნებულ ქვეყანას.

ქუჩებიც სადღესასწაულოთაა მორთული... ყველგან ყველაფერს სიხარულის და განათლების ფ რი აქვს. .

მხოლოდ, სადღაც მიყრუებულ ქოხში გაისმის საზარელი ქვითინტირილი და გლოვის ზარი... საზოგადო სიხარულს, მხოლოდ გულის მომწამვლელი მოთქმა არღვევს...

ეს დედაა... გაცოფებული, ლოყებ დაგლეჯილი დედა, რომლისთვისაც არ არის დღესასწაული, სიხარული, აღტაცება; რომელიც თავს დასტირის თავის ერთად ერთ შვილს, მტარვალთაგან გულ-გაგმირულს... უდანაშაულო მსხვერპლს.

მისთვის არ უკრავს როიალი; მის ნესტიან ქოხში არ ისხმის ოქროს და ვერცხლის თასებში „შოპანური“; მას არ ახარებს არაფერი... მის გულში ჯავრსა და ბოღმას დაუსადგურებია ამ წამში, რომელიც დიდხანს გასტანს... დიდხანს... დიდხანს... მისი მრჩენელი, მისი ნუგეში, ჯან ღონით, სიცოცხლით სავსე გიორგი, სიცოცხლით მოწყურებული ახალგაზრდა, სიმართლისთვის თავდადებული და ბოროტების სასტიკი მტერი, დღეს გულ-განგმირული, გულ ხელ დაკრეფილი სძევს .. სძევს უგრძნობლად, რომლის სამუდამო ალაგი ხვალიდგან უნდა იქმნეს შავი მიწა..

. . . . . . . . . . . . .

იქ ტირილი, საზარელი მოთქმა, ოხვრა, მწუხარება—ქუჩაში კი სიხარული და ბედნიერება!...

პლებეი.

—

# რუსეთის ამბები.

—

**სტუდენტების არეულობის გამო**. მთავრობას განუზრახავს, გაზეთ „კიევლანინის“ ცნობით, მოახდინოს საერთო გამოძიება არეულობის გამო უმაღლეს სასწავლებლებში: პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, კაზანის, ტომსკის და იურიევის. კვალ-და-კვალ უნდა იქმნას გამორკვეული პროფესორების დამოკიდებულება სტუდენტების ორგანიზაციებთან. გაზეთის სიტყვით გამოძიებას შედეგათ მოჰყვება მრავალ პროფესორების დათხოვნა.

**ფულის მოპარვა**. სამარაში ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში აღმოუჩენიათ დიდი ქურდობა. ფულის პაკეტი, რომელშიაც ყოფილა 13,413 მან. და დანიშნული იყო გასაგზავნათ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, აღარ აღმოჩენილა დაკარგულ პაკეტის წონა შეუვსიათ აგურებით.

**ხვრელის გაყვანა**. 15 დეკემბერს ორენბურგში აღმოუჩენიათ ხვრელი 16 არშინ. სიგრძით, რომელიც გაყვანილი ყოფილა ციხეში მახლობელ სახლიდან პოლიტიკურ დამნაშავეთა გასანთავისუფლებლათ. დაჭერილია 4 კაცი და 3 ქალი. აღმოუჩენიათ იარაღები, ბრაუნინგი და არა ლეგალური ლიტერატურა.

**რეპრესია ციხეში**. სიმფეროპოლის ციხეში, არეულობის გამო, ადმინისტრაციას შემოუღია სასტი-

—

დადებული მებრძოლი დაასამარა. მთავრობა თავის გამარჯვებას ურიცხვ გვამებზე დღესასწაულობდა. ამის შემდეგ დაიწყო სუსხიანი რეაქცია.

VI.

ყველა აქამდის ნათვამიდგან მკითხველს შეუძლიან დაახლოვებით პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, შეუძლიან ნათლად წარმოიდგინოს ის ეკონომიურ-პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა. გავიმეოროთ მოკლედ ეს პასუხი.

თვითმპყრობელი მთავრობა აღმოცენდა თავის შესაფერ ფეოდალურ ცხოვრების ნიადაგზე, რომელიც დაყრდნობილი იყო ფედალურ-ხელოსნურ წარმოების წესზე; აღებმიცემობის და ვაჭრობის ზრდა-განვითარების, ბაზრის გაფართოვების და გაერთიანების საჭიროებამ და კაპიტალიზმის პირველი საფეხურების აღორძინება—განვითარებამ მოსპეს ფეოდალური ერთეულების კარჩაკეტილობა, ერთმანეთ შეაჯახეს ისინი ძალა-უფლება-უპირატესობისათვის, გააძლიერეს ერთი ფეოდალთაგანი და ამნაირათ თანდათან ჩამოაყალიბეს თვითმპყრობელი მთავრობა თავისებურ კანონ-წესებით. თვითმპყრობელობა მონურ ცხოვრებაზეა აშენებული და განუსაზღვრელი ბრძანებელია, მთელი რუსეთი და მისი მცხოვრებნი-ქვეშევრდომნი თვითმპყრობელობის საკუთრებაა; ბიუროკრატიულ მთავრობის ბუნება და მოწყობილობა ფეოდალურია.

კაპიტალისტური წესით წარმოების ზრდა-განვითარებამ, რომელიც გამოიწვია შრომის იარაღების გაუმჯობესობამ, მოსპო ხელოსნური წესი წარმოებისა, რაზედაც დაყრდნობილი იყო ფეოდალური წეს-წყობილობა. საფუძვლის მოსპობას ზედნაშენის მოსპობა მოჰყვა. კაპიტალიზმი თავისუფალ მუშა ხელს, თავის შესაფერ ბურჟუაზიულ ცხოვრებას და ურთიერთობას მოითხოვდა, რამაც ყმა-გლეხების განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოიწვია. თვითმპყრობელობამ იძულებით ბატონ-ყმობა ზევიდგან მანიფესტით გადააგდო, გლეხებს მისცა ნადელები და მით მოძრაობა დროებით ჩაანელა. ბატონ-ყმობა ძირს, ცხოვრებაში გადავარდა, მაგრამ მაღლა პოლიტიკაში ხელ-უხლებლად დარჩა. კაპიტალიზმმა ფეოდალურ ცხოვრების ნანგრევებზე თავის შესაფერი ზედ-ნაშენი, ბურჟუაზიული ცხოვრება წამოაყენა; მან რუსეთის ხალხი ორ კლასად, ბურჟუაზია და პროლეტარიატად დაანაწილა და თავის შესაფერად აჰკინძა მათი ურთი-ერთობა; ის მთელი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების მთავარ ძარღვად გადაიქცა.

კაპიტალიზმმა თავის წიაღიდგან პროლეტარიატი წარმოშობა, რომელიც იძულებული იყო, როგორც კაპიტალისტებს და საზოგადოთ ბურჟუაზიას, ისე თვითმპყრობელობას შებრძოლებოდა, რომელიც მას კაპიტალისტებთან ბრძოლაში ყველანაირათ ხელს უშლიდა და წინ ეღობებოდა. ამნაირათ პროლეტარიატი ეკონომიურ-პოლიტიკურ ბრძოლას ეწევა.

უმიწა-წყლო, დამცრული გლეხები, პირად თავისუფლებით და ნადელებით მოტყუებულნი, ფეოდალური ნაშთების წყლობით ძველებურად იყვლიფებოდნენ და იყვლიფებიან მემამულეებისგან. გლეხები მემამულეების წინააღმდეგ ამხედრდნენ, რაც აგრარულ მოძრაობაში გამოხატეს; მათ გაძევრით მოითხოვეს მიწა, რაც მათ ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მემამულეთა თვითმპყრობელი მთავრობა, მისაც იმავე მათრახებით და ხიშტებით მიესია; გლეხებმა მიწასთან ერთად პოლიტიკურთ თავისუფლებაც დაჰკრით მოითხოვეს.

ამნაირად კაპიტალიზმისაგან გამოწვეული ბურჟუაზიული ცხოვრება და თვითმპყრობელობა, როგორც ერთიმეორის შეუფერებელი და შეუთანხმებელი, ერთმანეთს შეეჯახნენ; ბურჟუაზიული ცხოვრება და ურთი-ერთობა დაძველებულ თვითმპყრობელობის ქერქში, მის შემავიწროებელ კანონ-წესების ფარგლებში, ვეღარა თავსდება; ეკონომიური მიზეზებით შეცვლილი ცხოვრების პირობები მოითხოვენ მართვა-გამგეობის და კანონ-წესების თავის შესაფერად შეცვლას; აი ყველა ამან გამოიწვია რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა.

განმათავისუფლებელ მოძრაობას მძლავრი მუჯლუგუნები წაჰკრა და დააჩქარა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც რუსეთის განვითარებული კაპიტალიზმისათვის გაფართოვების საჭიროებამ გამოიწვია. მან დაავადმყოფებული რუსეთის სახელმწიფოს ყველა იარები და წყლულები საქვეყნოთ გამოამზევა. საერთო დუხჭირი ცხოვრებით გამოღვიძებული და გათვითცნობიერებული რუსეთის ხალხი თვითმპყრობელ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდა

ს. პართენაშვილი.

(დასასრული)

კი რეჟიმი: ტუსაღებისთვის „უკრძალავთ ერთმანეთის ნახვა და პოლიტიკურებისთვის კი გარედგან კერძის და სხ. მიღება.

**ურიების დევნას არ ელება ბოლო.** სოფელ ტოლმაზის გლეხობას, (აკკერმანის მაზრა) შავრაზმელების აგიტაციის გამო დაუდგენიათ გადასახლებულ იქმნან იმ სოფლიდგან 5 ურია, იმავე დროს აუკრძალონ ურიებს წისკვილის დამთავრება, რომელიც ახლად ჰქონიათ დაწყებული მისი გაკეთება. ეს დადგენილება წარუდგენიათ დასამტკიცებლად სამაზრო კრებისათვის, რომელსაც უკვე დაუმტკიცებია. ასე უნდა სამართალი!

## მუშათა შორის

**მიხაილოვი** (ხაშური) განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, აქაურმა დეპოს მუშებმაც, როგორც სხვებმა მოიპოვეს რკინის გზის მთავრობისგან ზოგადი უფლებები. მოპოვებულ უფლებებში შედიოდა აგრეთვე „აკორდის“ გაუქმება, რადგან ასეთ ფორმას სამუშევრისას სთვლიდნენ მავნებლად ყველა მუშებისათვის და კერძოთ მათთვის. მათ ერთხელ და სამუდამოთ დაგმეს იგი. მაგრამ ეს იყო იმ დროს, როცა რევოლიუციის ტალღები მაღლა იწევდნენ და მუშების გაფიცვები მოედო მთელ რუსეთს. დადგა რეაქცია თუ არა, რევოლიუციიდან დაფრთხალი გონება დაბნეული ვაჟბატონებიც გამოცოცხლდნენ. აქაურმა დეპოს უფროსმაც გული გაიმაგრა და მოითხოვა მუშებისაგან „აკორდის“ გაცოცხლება. მან ბევრჯერ მიმართა მუშებს წინადადებით, მაგრამ მუშების შეგნებული ნაწილი წინაალმდეგი იყვნენ და ვერაფერი გააწყო. დღეს კი, ამ გამწვავებულ რეაქციის დროს წამოყვეს ზოგ ვაჟბატონებმა თივი და მიმართეს დეპოს უფროსს: „მოგვეცი ნება და ჩვენ შევკრავთ არტელს და აკორდულ მუშაობას კვლავ აღვადგენთო“. დეპოს უფროსი აღტაცებით მიეგება მათ სურვილებს და დიდი დახმარებაც აღუთქვა. იმ საქმის ინიციატორებმა და მისი სულის ჩამდგმელათ გამოვიდნენ: ბ. თომაძე და ბაგაცსკი. (სლესრები) ისინი ეწევიან აგიტაციას „აკორდის“ სასარგებლოთ შეუგნებელ მუშებში და ამხედრებენ მათ შეგნებულების წინაალმდეგ. იმათმა აგიტაციამ უკვე გასჭრა და შეუგნებელ მუშებიდან მათ იშოვეს მომხმარეები. შეგნებული ნაწილი მუშებისა კი დიდი წინაალმდეგია „აკორდის“, მაგრამ თომაძე მათ წინაალმდეგ მუქარით გამოდის. ამნაირათ იგი პროვოკატორობას ეწევა მუშებში, თავის ერთგულ ამხანაგით. ესეც არ იკმარეს ამ ვაჟბატონებმა: მათთან არტელში მუშაობენ აგრეთვე რკინის გზის. ბატ. ჯარის კაცები; ბ. თომაძე ეუბნება მათ: თქვენზე მუშები გულმოსულნი არიან და გემუქრებიან იმიტომ რომ, „თქვენ მეტს მუშაობთო“. ჯარის კაცებმა დაიწყეს მუშაობაზე ხელის აშვება, ისე როგორც სხვა მუშებმა. ბ. თომაძე კვლავ პროვოკატორობს და ეუბნება მათ: „მუშები გემუქრებიან, რადგან თქვენ ზარმაცობთო“. რას იტყვის ბ. თომაძე—არის თუ არა ეს პროვოკაცია? დიახ, ეგ ვაჟბატონი ამხედრებს, ერთი მუშების ნაწილს მეორეზე და აგრეთვე ძმომუშავე ჯარის კაცებს—ადგილობრივ დეპოს მუშებზე. ვნახოთ სანემდი განაგრძობენ ეგ ვაჟბატონები თავიანთ ასეთ მოღვაწეობას.

სტუმარი.

**თფილისის სარდაფების, ტრაქტირების და სირაჯების მოსამსახურეთა გაფიცვა.** თვე ნახევარია, რაც რომ თფილისის სარდაფების და ტრაქტირების მოსამსახურეები გაფიცული არიან, მოპოვებული უფლებების შესანარჩუნებლათ. მაგრამ დადგა დრო, ხაზეინებმაც შეიგნეს და იმათაც შეკრეს კავშირი და შეერთებული ძალით, ილაშქრებენ მუშების წინაალმდეგ და სურთ მიწასთან გაგვაერთონ და მის სამაგიეროთ აღადგინონ ბატონ ყმობა, და მაღალ სკამზედ წამოსკუპდენ და იქიდან უკიჟინონ როგორც უნდათ. ჩვენ ყოველი ნაირი ღონის ძიება ვიხმარეთ გაფიცვა შვიდობიანათ დასრულებულიყო; კომისიის დანიშვნაზედაც დავეთანხმეთ, სამედიატორო სასამართლოში გაყოლაც წარუდგინეთ. ერთი სიტყვით, ყოველივე კულტურული ზომები ვიხმარეთ. მაგრამ ჩვენმა ბერმა შრომამ თუ უნაყოფოთ ჩაიარა, ამის მიზეზი იყო, რაოდენიმე ვაჟბატონ-ხაზეინების მეთაურობა. ვინ ამბობს ხაზეინებს გული არ შესტკივა მუშებზეო? ხაზეინები დიდი მოწყალებას უშვება თავიანთ მოსამსახურეებს. აგერ ორი თვე ნახევარია მოსამსახურეები გაფიცული არიან. მას შემდეგ ბევრნაირი მოწყალება გამოცეს: 1) 12 საათის სამუშაო დღე და მასთან მიღებ-დათხოვნა ხაზეინებისაა.—ერთი თვის შემდეგ ეს დადგენილება შესცვალეს და 12 საათის სამუშაო დრო 8 საათზე დააყენეს. მე იმედი მაქვს, რომ ორი თვის განმავლობაში, ექვსი საათის სამუშაო დროს გამოსცემენ, რადგანაც ესეთი კეთილი გულის ხაზეინები ყავს მოსამსახურეებს. 6 დეკენბერს ხაზეინები შეიკრიბენ. კრებას დაესწრო 500 ხაზეინი და ერთნაირი რეზოლიუცია გამოუტანიათ: 1) აღელვებით ვემუქრებით იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც ჩვენ შესახებ ხმას ამოიღებენ, სასტიკ ბოიკოტს უცხადებთ და არც ერთი ხაზეინთაგანი არ ვყიდითო და ამით ვაზარალებთ რედაქციასო. მაგრამ გთხოვთ ბატონო ხაზეინებო ნუ დაუკარგავთ თქვენ წყალობას რედაქციას, იყიდეთ გაზეთი. ამით ვერ შეგვაშინებთ ვაჟბატონ ხაზეინებო. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ პადვალის და მიკიტნების ხაზეინებს სულაც არ ცივათ გაზეთისთვის. ისინი იმას ცდილობენ რომ ბევრი ივაჭრონ და ბევრი ნავაჭრით თავისი გაუმაძღარი ღიპი ამოივსო.

მეორე მიზეზათ იმას თვლიან და აბლაკატებს უწოდებდენ ვინც ჩერია საქმეში და გაფიცვა შვიდობით გაეთავებიათ. და ამათ ვაჟბატონ ხაზეინები მუშების მცარცველს ეძახიან—ამით ხაზეინებს უნდათ მუშების და დამხმარე პირების შორის დეზორგანიზაცია უნდათ ჩამოაგდონ მაგრამ ტყუილი ფიქრია ხაზეინებო. ქართული ანდაზაა ნათქვამი კაცმა ცხენს ვერ შესწვდა და უნაგერს დაუწყო ტეხვაო ისე მოსდით ხაზეინებს როდესაც ხაზეინებმა მოსამსახურები ვერ დაიბრიყვეს ისე როგორც მათ უნდოდათ. მაშვინ დახმარე პირებს აბლაკატები უწოდა.

მაგრამ თუ ეს ხაზეინებს შეუგნებლობით მოგდით მე გირჩევდით ხაზეინებო გამოიღეთ ბანბა ყურებიდან და კარგათ გაიგეთ თფილ. მუშები როგორ არიან შეერთებული და როგორი დამოკიდებულება აქვთ ერთი მეორესთან. თფ. ოცდა ცამეტი კავშირი ერთ კალაპოტში დგა და ერთი კავშირის დამარცხება ყველა კავშირების დამარცხება იქნება და ამას—კი არ დაგითმობთ ხაზეინებო და ასჯერ არა. გარეაქციონებულო ხაზეინებო ერთი მიბძანეთ რომელ კანონში ნახეთ, რომ თუ გაფიცულებს არც ჯამაგირი მიეცეს, არც ბინა და არც ხარჯი. რათ ართმევთ ხაზეინებო მუშებს შარშანდელ მოგებულ მიღებ-დათხოვნას. ეს იმის მიზეზია რომ თუ არ გინდათ მოსამსახურები—ცხოვრებაში შევიდენ და ისინიც გახთენ ადამიანები. თქვენ გინდათ, რომ ძველებურათ ბატონყმობა და მონობა აღადგინოთ, და მაღალ ფეხიან სკამზე წამოსკუპდეთ და თქვენს დიდებულ ბ. ბძანებას ფართო გავლენა ქონდეს, მაგრამ ვერა და ათასჯერ ვერა, ის დრო მოკტა. მუშებმაც შევიდენ შეგნებაში და იგენმაც გაიგეს ცხოვრების მიზანი. და მათი ბძოლით მოპოვებულ უფლებებს ვერავინ ვერ გამოგლეჯს ხელიდან სიკვდილამდი.

ქოჩორა სინდრო.

## ღია წერილი ბ: ვართანოვის შესახებ.

მართალია დღეს საზოგადოებაში გახშირებულია ქურდობა, მაგრამ როგორც ამ უკანასკნელს ადგილი აქვს ბ. გ. ვართანოვის სახლში, ნიკოლოზის მოედანზედ № 1 იშვიათი მოსალოდნელია სხვაგან. სულ მოკლე ხანში ჩვენს ეზოში ხდება აუარებელი ქურდობა; მოვყავს რამოდენიმე მაგალითი:

ხუმაროვის ბინა გასტეხეს და წაიღეს საცვლები, ტანისამოსი და ფეხსაცმელი; ბ. მატინიანცს მოჰპარეს ფეხსაცმელი და სანოვაგე; ფქვილის ბეღელი გასტეხეს და გამოეტანათ სამი ტომარა ფქვილი და თუ არ დაენახა ჩვენს ეზოში მდგმურ მოხუც დედაკაცს კატოს, რასაკვირველია წაიღებდნენ; ყოფილ მდგმურ დავით თუნ-უმანოვს მოჰპარეს ფქვილის ტომრები და საცვლები; ავეტის ოგანეზოვს მოჰპარეს პალტო ბ. სარქისოვს—შეშა და რაც შეეხება წვრილმანს ხომ სათვალავ აღარა აქვს.

ეზოში არა სდგანან ისეთი საეჭვო პირნი, რომლების მიერაც მოსალოდნელი იყოს ამგვარი საზიზღარი საქციელი მაშ ვის ანუ ვის უნდა მივაწეროთ ყოველივე ეს. ეჭვის გარეშეა, რომ ჩვენს პატივცემულს „დვორნიკს“ სახელდობრ სტეფანეს, მის უყურადღებობას მდგმურების მიმართ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა ხაზეინმა ზემოხსენებული აქტები, მომხდარი მის ეზოში, დაწვრილებით იცის, მაშ რატომ არ მიაქცევს ეზოს ყურადღებას და არ ჩამოაშორებს იმ არა სასურველ ელემენტს, რომელსაც პროფესიათ გაუხდია ეზოში მხოლოდ პროვოკატორულ ნიადაგზე ცრუ ამბების მიტან-მოტანა?

იმედია, ბ. ვართანოვი ყოველივე ზემოხსენებულს ყურადღებას მიაქცევს და დაამყარებს ეზოში მშვიდობიანობას თავისდა სასახლოთ.

მდგმურთაგანი.

# პროვინცია

**სოფელი გარდატენი (გორის მაზრა).** ამ სოფელში მემამულის ადგილში გლეხებმა გააკეთეს ვენახები მისა, გაბო და სტეფანე დავითაშვილებმა და სოლო რევაზიშვილმა, იმისათვის, რომ ნადელის მიწები და ვენახები არა გაჰნდათ-რა, (ნადელი გამოურკვეველია: ზოგს ბევრი უჭირავს ნადელი, ზოგს ცოტა და ზოგს-ც სულ არა) ეს ვენახები იმისთანა ადგილებში გააკეთეს, ხსენებულმა დავითაშვილებმა და რევაზიშვილმა, რომ თითო საჟენი მიწის დამუშავება თითო თუმანი ფული დარჩა, რადგანაც სულ კლდიანი და წაშრალი იყო. ამ ადგილებზედ მოდიოდა დათვანტული გზები, ხსენებულთა შესწორებულ შეაკეთეს და ცალ მხარეზედ მისწიეს საუკეთესო გზა გახადეს რომელზედაც სოფელი კმაყოფილი იყო. მემამულისა და სხვა და სხვა მოხელეების ხრიკებით შემინებულმა ხსენებულმა გლეხებმა გადაწყვიტეს რაც უნდა დასჯდომოდათ შეესყიდნათ თაიანთი ვენახები და კიდეც შეისყიდეს 1904 წელს-აგვისტოში. მოხდა მორიგება მემამულესთან რაიცა ნახევარი ვალად აღებული ფული ჩააბარეს, და ნახევარზედაც ვექსილი მისცეს მემამულეს წლის ვადით. მოძრაობის გამო აქამდისინ დარჩა ვექსილი დაუსხსნელი, რაიცა აღსრულებითი ფურცელზედ გადავიდა საქმე. შესდგა პროვოკაციული კავშირი ამავე სოფელ გლეხის იორდანე ლოცულაშვილის მეთაურობით, იმ მიზნით, რომ უნდა შეეკეთებინა სასოფლო: გზები, ხიდები და წყლის რუები, შემდგა იორდანე საქმეს და კიდეც მოიყვანა სისრულეში მამასახლისის შემწეობით. დაიწყო ადამის პირობებიდგან ძიება აქ წინეთ გზები, აქ წინეთ რუები იყოვო და სულ მიანგრ-მოანგრიეს სისხლით და ოფლით მორწყული დობეები დასჭრეს ხილი, ვაზი და სხვა მრავალი მცენარეები ზემოხსენებულ გლეხებისა. იორდანე და პროვოკაციამ გამართულს ვენახებში თითო ფეხის დადგმაზე გზა დასტოვეს, ვენახის პატრონებმა პასუხათ მისცეს: „რათ გვიშლით დობესო, ჯერ იმას წავართვათ ვისთანაც საბრძოლველი გვაქვს და მერე აქ არ იქნება ეგ ვენახებიო“, მაგრამ იორდანემ ეს არ შეიწყნარა და უთხრა: „არ უნდა გაგეკეთებინათ და არც უნდა გეყიდნათ, თუ უმამულოები ხართ ეს რა ჩემი საქმეაო“. ადგნენ ხსენებულ ვენახების პატრონები და უჩივლეს მემამულეს „ვენახები ვიყიდეთ ფული სულ წაგვართვეს და ვენახებში კი აღარ გვიშვებენო. ამის შემდეგ მკითხველმა უწყის რაც მოხდებოდა, არის ისევ არეულ დარეული საქმე და იქნება სისხლის ღვრაც მოჰყვეს ამ უოვლად უმიზნო საქმეს. ამაზედ იორდანემ და პროვოკაციამ სოფელს ბოიკოტი გამოუცხადეს. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ ამ მხეცურ ბოიკოტს, მით უმეტეს, რომ თვითონ იორდანემ და მისმა ამყოლ-დამყოლებმა არ იციან ვის ებძვიან და რას ეძებენ თავიანთი ბოიკოტით.

პაპას ციცნა.

## ღია წერილი

რაჭის მაზრის და სოფელ ტოლ-ხვანჭკარის მცხოვრებელ კიმოთე ნიკოს ძე ლომთაძეს.

პატიოსანო გვამო კიმოთე ნიკოს ძე ლომთაძე! თქვენ ამ ერთი წლის წინათ, როცა თფილისში მუშაობდით, მაშინ ავლაბარში მცხოვრებელ, გიგო საგინიშვილს სთხოვეთ გასათხოვარი ქალი, რომ მოეცათ თქვენთვის საცოლეთ, რაზედაც გიგო საგინიშვილი თავის მეუღლით დაგეთანხმათ, რომლებმაც თავის ქალს, ჩვეულებისამებრ, გაუწყვეს მზითევბი და გაამზადეს ჯვრის დასაწერათ თფილისში, მარა თქვენ მათ შეეხვეწეთ, რომ ქალი გაეტანებიათ თავის მზითვებით შენს სოფელში: ტოლახვანჭკარაში და იქ დაიწერდით ჯვარს, რაც უკვე აგისრულეს. ერთი სიტყვით სულითა და გულით მოგენდვენ, თქვენ ეს ქალი წაიყვანეთ სოფელში, სადაც, თითქმის, ექვსი თვე გყავდათ, მაგრამ ჯვრის დაუწერლათ ისევ თფილისში ჩამოიყვანეთ და ნამუსახდილი საპრალო ქალი მშობლებთან მიატოვეთ და თვით თქვენ სადღაც გადაიკარგეთ. რის შემდეგ წელიწად ნახევარია და შენს პირველ ბედს და სატრფოს თვალით აღარ ეჩვენე, რომელიც სასტიკ ტანჯვას განიცდის სულიერათ ამ ჟამათ, მით უმეტეს, რომ თქვენ უკვე ჯვარი სხვა ქალზე დაგიწერიათ. მე მგონია, თქვენი ეს საქციელი პირდაპირ საზიზღროებაა და ხალხიც მსჯავს დაგდებსთ თქვენ შესაფერს; თუ, რომ უკანვე არ მისცემთ იმ თავის მზითევს, რომლითაც თქვენ დღეს უსირცხო-უნამუსოთ სარგებლობთ.

ამ წერილის პასუხს ელოდება, როგორც თქვენ მიერ შეურაცყოფილი და ნამუს ახდილია, ისე მკითხველი საზოგადოება.

ე. ბაჯელი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო მინა გიორგობიანი და არსენ გიორგობიანი: რადგანაც მათ მეტი ნათლი მამობა გამოიჩინეს ჩემსა და იასონ მეტრაველის გასამართლების დროს, რომლებმაც პირდაპირ უღალატეს სიმართლეს და მართალი კაცი მტყუანათ გამომიყვანეს, რის საბუთებიც ხელში მაქვს. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა სამ დღეს. მედიატორებათ ჩემის მხრით ვასახელებ: დათიკო ქოჩლაძეს და ბაგრატ მელაშვილს.

ზურაბ გიორგობიანი.

ბატონო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო, მინა გიორგობიანი, რომელმაც მომაყენა სიტყვით შეურაცყოფა ამიტომ წინადადებას ვაძლევ მინა გიორგობიანს რომ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა სამი დღის განმავლობაში დაასახელოს თავისი მედიატორები, რომელნიც მსჯავრს დასდებენ მტყუან პირს; უკეთუ გიორგობიანი სამედიატორო სამართალში არ გამომყვება, იმ შემთხვევაში სრული უფლება მექნება რომ შავ რაზმელი უწოდო.

მე ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ: გლახუა სხირტლაძეს და შაქრო ბიკაშვილს.

დარისპან დაუშვილი.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვ, ამ პატარა ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცის ნამის“ უმახლობელს ნომერში.

გაზეთ „წყაროს“ № 33-ში, ახალ-ამბებში, სხვათა შორის აღნიშნული იყო როგორც გადმოგვცეს, თეიმურაზ კაჭარავას თავგასულობას საზღვარი არა აქვს, მდგმურ ქალებს ლანძღავსო“, სადაც მოყოლებულია ჩემი ცოლიც და ნათქვამია, რომ „დიასახლისს მდგმურ ქალების ლანძღვა-გინება ხელობათ გაუხდიაო“. მე აქ არ გამოუდგები იმის ახსნას, სიმართლეა ზემოთ მოყვანილი თუ ნაღდი სიცრუე. ჩემი სურვილია, საამხანაგო სუდში გამოვიწვიო ჩემი დამბეზღებელი, რომელსაც დღეიდან ამ წერილის დასტამბვისა ვაძლევ სამი დღის ვადას მაცნობოს ან გაზეთის საშვალებით. ან და პირადათ მისი განზრახვა, ხოლო ვადის და საქმის გამრჩევი პირების წარმოსადგენათ, თუ როდესაც ის მოისურვებს, მე ყოველთვის მზათა ვარ. ასეთი ჩემი წერილი მე იმავე ექვს დეკემბერს წარუდგინე ბ. „წყაროს“ რედაქტორს მარა მიუხედავათ დაპირებისა, დღემდის არაფერი სჩანს; და ამის გამო მოგმართავ თქვენ, მორჩილი თხოვნით, რათა თქვენი გაზეთ „ცის ნამის“ საშუალებით შემლება მომცეთ ჩამოვირეცხო დაუმსახურებელი სირცხვილი და გამოვააშკარავო სიმართლე, რათა დაინახოს ყველამ, რომ ჩემს მოწინააღმდეგეს უსაბუთოთ მოუცხია ჩემ ოჯახობაზე და პირადათ ჩემზე ჩირქი, და რასაკვირველია პატივცემულ „წყაროს“ რედაქციაც შეცთომაში შეუყვანია.

თეიმურაზ კაჭარავა.

რედაქტორ გამომცემელი
**გიორგი სხირტლაძე.**

სტამბა „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.